



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000061534081022

№ 02-32-R

19 / სექტემბერი / 2022 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2022 წლის 15 სექტემბრის #02-29- R ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე და 63-ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტების, მე-9 და მე-11 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნის წესის შესახებ“ სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 10 სექტემბრის N01 დადგენილების, საარჩევნო კომისიის შემადგენელი ოქმისა (14.09.2022 წ.) და ასოცირებული პროფესორის გვანცა ღვინჯილიას 2022 წლის 19 სექტემბერის 1096/22 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2022 წლის 15 სექტემბრის #02-29- R ბრძანების მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში და აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ასოცირებული პროფესორის გვანცა ღვინჯილიას ნაცვლად კომისიის წევრად მიეთითოს ასოცირებული პროფესორი მაია ტაბლიაშვილი დანარჩენ ნაწილში ბრძანება დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გაცნობის მიზნით თვალსაჩინო ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.
3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge;
4. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირისათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

6. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No64).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერა/
შტამდასმულია
ელექტრონულად



მანანა დოიჯაშვილი